MES 8 23 0001029754

23/08/2023

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის
საბჭოს სხდომის ოქმი
ქ. თბილისი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 9 აგვისტოს.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **კახა შენგელია** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **დავით ბოსტოღანაშვილი** - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
4. **გაგა გვენეტაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი
5. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
6. **ნინო იმნაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
7. **გია ლობჟანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, ზოგადი ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი;
8. **ელენე ჟურავლოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ამავე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
9. **ლელა სალაყაია** - ა(ა)იპ - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის სენატის წევრი, შპს „ვიონი საქართველოს“ პერსონალთა მუშაობისა და ადმინისტრაციულ საქმეთა დირექტორი, დამსაქმებელი;
10. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;

11. კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
12. ანა ფირცხალაშვილი - შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს სამეცნიერ კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
13. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის მენეჯერი, პროფესორი;
14. ივანე აბაშიძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეული წევრები:

1. ივანე აბიათარი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ინტიტუტის დირექტორი და "მედიცინის სკოლის" ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
2. ნინო ოკრიბელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი;
3. მაია ბიწკინაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა კათედრის ასოცირებული პროფესორი;
4. თამარ ვალიშვილი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი;
5. მარინე გელანტია - სს "ჩაჩავას კლინიკის" გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
6. ნინო შარიქაძე - შპს "ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის" კლინიკური ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი;
7. დავით კობეშავიძე - შპს "იმედის კლინიკის" დირექტორი;
8. გივი ჯავაშვილი - საქართველოს ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
9. ივანე ჩხაიძე - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
10. ხათუნა ზალდასტანიშვილი- სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
11. შორენა წიკლაური - შპს "ევროპის უნივერსიტეტის "ასოცირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი;
12. დავით თათოშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი;
13. ლევან რატიანი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
14. ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) წარმომა დგენლები:
ანი ლელაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
თორნიკე ბაქაქური - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ანა ჯუღელი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ლაშა მაჭარაშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კოორდინატორი;
ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი:
1. სოფიო ბერიძე - შპს ავიცენა-ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი;
2. ნინო გორგილაძე - შპს ავიცენა-ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორიის მოადგილე აკადემიური და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით;
3. ხათუნა ვარშანიძე - შპს ავიცენა-ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე კლინიკური ბაზებისა და სასწავლო რესურსების მართვის მიმართულებით;
4. ჯემალ ანანიძე - შპს ავიცენა-ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე ადმინისტრაციული და საფინანსო მიმართულებით;
5. ჟუჟუნა გუმბარიძე - შპს ავიცენა-ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
6. მიხეილ ართმელაძე - მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალ „მედცენტრის“ მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე (უნივერსიტეტის დამფუძნებელი ორგანიზაცია).

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი:
1. ნათია ქაჯაია - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. ლია ჭიღლაშვილი - რექტორის მოადგილე;
3. ნიკა დუდაშვილი - რექტორის მოადგილე;
4. ნანა ბიჩენოვი - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
5. ნონა გელიტაშვილი - ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:
1. დავით მახვილაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.
2. ხათუნა მხეიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე.
3. ნუგზარ წერეთელი - ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი.
4. მაია მშვილდაძე - ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.
5. მამუკა მაისურაძე - ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.
6. გიული ჯოხაძე - „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

6. ნაზიბროლა კუციავა - „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები)

1. შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი:

პანტელის იპსილანტისი (Pandelis Ipsilandis);
მიტრა ამინი (Mitra Amini);
ჯილდა ჭეიშვილი;
ნინო ამირანაშვილი;
ხათუნა საგანელიძე;
შოთა სილაგაძე.

1. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი:

დიანა მჭედლიშვილი;
ზაზა ცოტნიაშვილი;
ჯილდა ჭეიშვილი.

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

ციცინო თურქაძე;
ინგა ბოჭოიძე.

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი და ასევე, საბჭოს მოწვეული წევრების არანაკლებ ¾. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაცის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **არა**

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაცის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების საკითხის განხილვა.

სხდომის დაწყების დრო: 17:00
სხდომის დასრულების დრო: 19:40

1. **შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახ ილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, საერთაშორისო ექსპერტმა, პანტელის იპსილანტისმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნაში ასახული იყო მიგნებები, რეკომენდაციები და რჩევები. ის ისაუბრებდა ძირითად და მნიშვნელოვან ასპექტებზე, რომლებიც გამოიკვეთა ვიზიტის განმავლობაში. ასევე დამატებით პროგრამის სტრუქტურაზე და შინაარსზე ისაუბრებდა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი მიტრა

ამინი. ექსპერტის განცხადებით, დასკვნა უმეტესწილად ეფუძნებოდა დაწესებულების მიზნებს და სამომავლო გეგმებს იქედან გამომდინარე, რომ დაწესებულება მიმდინარე ეტაპზე არ ფუნქციონირებდა და ექსპერტთა ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას ეხილა რეალური პროცესი და შედეგები.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასწავლო უნივერსიტეტის დამფუძნებლები ფლობდნენ მაღალ ტექნოლოგიურ სამედიცინო დაწესებულებას ქალაქ ბათუმში, შესაბამისად, სწავლა-სწავლების პროცესი „მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისათვის დაეფუძნებოდა სწორედ დამფუძნებლების მფლობელობაში არსებულ რესურსებს. ასევე, აღსანიშნავი იყო, რომ აღნიშნულ პროგრამაზე იგეგმებოდა სამედიცინო სწავლების თანამედროვე მოდელის ჩამოყალიბა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გარდა მედიცინის პროგრამისა, სამომავლოდ დაწესებულება გეგმავდა ჯანდაცვის მიმართულების სხვადასხვა პროგრამების შემუშავებას და განხორციელება. დაწესებულება ორიენტირებული იყო საერთაშორისო სტუდენტების მიღებაზე. ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა ინსტიტუციის 7 წლიან სტრატეგიულ გეგმას. დოკუმენტში ყურადღება იყო გამახვილებული სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შემუშავებაზე და კვლევითი მიმართულების განვითარებაზე. თუმცა აღსანიშნავი იყო, რომ სტრატეგიულ გეგმასა და ბიუჯეტის დოკუმენტებს შორის ფიქსირდებოდა გარკვეული შეუსაბამობები და არ იყო ცხადად გადმოცემული დასახული მიზნების განხორციელების შესაძლებლობები და მეთოდები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოსაზრებით, ინსტიტუცია პირველ რიგში ელოდა ავტორიზებული დაწესებულების სტატუსის მოპოვებას და შემდგომ უფრო ცხადად დაიწყებოდა მუშაობა სტრატეგიული მიზნების და გეგმების განხორციელებისათვის.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასწავლო უნივერსიტეტს ჰქონდა ნათლად ჩამოყალიბებული სტრუქტურა, რომელიც შეესაბამებოდა დადგენილ საკანონმდებლო მოთხოვნებს. მიმდინარე ეტაპზე ინსტიტუციას გათვალისწინებული ჰქონდა მედიცინის მიმართულების სკოლა. ადმინისტრაციული სერვისები იყოფოდა რამოდენიმე ნაწილად და მოიცავდა აკადემიურ და სტრატეგიული განვითარებას, ადმინისტრაციულ და ფინანსურ ურთიერთობებს, და კლინიკური ბაზების და სწავლების რესურსების მენეჯმენტს. მარეგულირებელ დოკუმენტაციაში ნათლად იყო გადმოცემული პასუხისმგებლობები თითოეული მიმართულებისათვის.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ ინსტიტუციას ჩამოყალიბებული ჰქონდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. თუმცა, ვიზიტის დროს შესაძლებელი იყო მხოლოდ იმის გადამოწმება, თუ როგორ განხორციელდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები პროგრამის შემუშავების და განვითარების პროცესში. მიმდინარე ეტაპზე არ იყო ცნობილი როგორ განხორციელდებოდა ხარისხის უზრუნველყოფა პრაქტიკაში. აღსანიშნავი იყო რომ, მიმდინარე ეტაპზე საკვანძო პოზიციებზე დასაქმებული პირები დანიშნული იყვნენ ნახევარ განაკვეთზე. მოცემული გარემოება გასაგები იყო, ვინაიდან ინსტიტუცია ჯერ არ ფუნქციონირებდა და შესაძლებელი იყო ფინანსურად არ იყო გამართლებული პირების დასაქმება სრულ განაკვეთზე. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში, იმ შემთხვევაში თუ კი დაწესებულებას მიენიჭებოდა შესაბამისი სტატუსი და დაიწყებდა ფუნქციონირებას საგანმანათლებლო დაწესებულების სახით, მდგრადობის და განვითარების თვალსაზრისით აუცილებელი იყო პირების დასაქმება სრულ განაკვეთზე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ გარკვეული უზუსტობები შეინიშნებოდა საუნივერსიტეტო რეგულაციებს შორის, რომლითაც რეგულირდებოდა დასაქმებული პირების კვალიფიკაციის და საკვალიფიკაციო მოთხოვნების საკითხები. შესაძლებელი იყო, რომ პირველ ეტაპზე მეტად ხელსაყრელი იყო სხვადასხვა პოზიციაზე ისეთი პირების დანიშვნა, რომლებიც სარგებლობდნენ ნდობით, თუმცა სამომავლოდ გადამწყვეტი იქნებოდა მეტი ყურადღება ყოფილიყო გამახვილებული პერსონალის კვალიფიკაციაზე. ასეთი შეუსაბამობები იკვეთებოდა რამოდენიმე პოზიციასთან მიმართებით და აღნიშნული არ ეხებოდა უმრავლესობას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი „მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებული და დაგეგმილი იყო კარგად, მოიცავდა ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ინტეგრაციას და ითვალისწინებდა დარგობრივი მახასიათებლით დადგენილ სწავლის შედეგებს. პროგრამის უზრუნველყოფა შესაბამისი რესურსებით და კლინიკებით გარანტირებული იყო დამფუძნებლების ფართო კავშირებით მედიცინის სფეროში. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი იყო დაკვირვება იმაზე, თუ როგორ განხორციელდებოდა პროგრამა პრაქტიკაში და რა მიღწევები ექნებოდათ სტუდენტებს. ვინაიდან პროგრამა განხორციელდებოდა ინგლისურ ენაზე და დაწესებულება გეგმავდა საერთაშორისო სტუდენტების მიღებას, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა პროგრამაში ინგლისური ენის კომპეტენციის განსაზღვრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოსაზრებით, პროგრამაში დადასტურებული უნდა ყოფილიყო ინგლისური ენის მაღალი კომპეტენცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს ჰქონდათ შესაბამისი გამოცდილება. აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები იყვნენ პროფესიონალები, ფიქსირდებოდა კვლევითი საქმიანობა და აფილირებულები იყვნენ დაწესებულებასთან. თუმცა, ერთგვარ პრობლემას წარმოადგენდა ინგლისური ენის კომპეტენციის საკითხი. აღსანიშნავი იყო, რომ პერსონალს უკვე გავლილი ჰქონდა ტრენინგები, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით აუცილებელი იყო უფრო მეტი ტრენინგის ორგანიზება პერსონალისათვის ინგლისური ენის კომპეტენციის გაძლიერების და ინტეგრაციის საკითხებზე. რაც შეეხებოდა ადმინისტრაციულ პერსონალს, რაოდენობა იყო მწირი, მხოლოდ ადმინისტრაციული ერთეულების უფროსების პოზიციები იყო დაკავებული, რაც სავარაუდოდ ისევ და ისევ განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ დაწესებულება ჯერ არ ფუნქციონირებდა. გარდა ამისა, შეინიშნებოდა დაგეგმვის სისუსტე სტუდენტური სერვისების ნაწილში. თუმცა, დოკუმენტურად კარგად იყო გაწერილი ისეთი აქტივობები, როგორიც იყო სტუდენტთა ჩარიცხვა, მობილობა, სტატუსი შეჩერება და ა. შ. მარეგულირებელი დოკუმენტაცია ძირითადად წარმოდგენილი იყო ქართულ ენაზე. მოგვიანებით ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ეცნობათ, რომ დოკუმენტები უკვე თარგმნილი იყო ინგლისურ ენაზე და ხელმისაწვდომი იქნებოდა დაინტერესებული პირებისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, კვლევასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულება მიმდინარე ეტაპზე ვერ წარმოადგენდა ინფორმაციას აღნიშნული მიმართულებით. დაწესებულებასთან აფილირებულ აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს ჰქონდათ ძლიერი მაჩვენებლები კვლევის მიმართულებით თუმცა, აღნიშნული კვლევები არ უკავშირდებოდა შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტს. დაწესებულებას ჰქონდა პოტენციალი, შემუშავებული იყო კვლევის განვითარების პოლიტიკა, რომელიც მოიცავდა სამ მიმართულებას: ჯანდაცვას, ბიომედიცინას და კლინიკურ მედიცინას. მოსალოდნელი იყო რომ, სამომავლოდ აკადემიური პერსონალი ჩაერთვებოდა კვლევებში აღნიშნული მიმართულებებით. დაწესებულებას ჩამოყალიბებული ჰქონდა კვლევის შეფასების გამჭვირვალე მექანიზმი და ყველა ტიპის კვლევა შეფასებული იქნებოდა შესაბამისი მაჩვენებლების მიხედვით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამატებით აღნიშნა, რომ კვლევის განვითარების სტრატეგია ასახული უნდა ყოფილიყო ბიუჯეტში ვინაიდან კვლევის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია უკავშირდებოდა ფინანსებს. ასევე მნიშვნელოვანი იყო სადოქტორო პროგრამის არსებობა დაწესებულებაში, რაც კიდევ უფრო მეტად გააძლიერებდა კვლევით მიმართულებას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი კმაყოფილი იყო არსებული რესურსებით, თუმცა საბიბლიოთეკო სივრცე საჭიროებდა გაფართოებას ვინაიდან სასწავლო უნივერსიტეტი გეგმავდა სტუდენტების რაოდენობის გაზრდას და არსებული სივრცე არ იყო საკმარისი. აღნიშნული გარემოება

ასახული უნდა ყოფილიყო ბიუჯეტში. მიმდინარე ეტაპზე ბიუჯეტი არ ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ სტუდენტების რაოდენობა გაიზრდებოდა წლების მანძილზე. ასევე ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სოციალური დაფინანსება, სტიპენდიები და ა. შ. სტუდენტების რაოდენობის პროპორციულად. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა იხილა სწავლების ელექტრონული სისტემა, რომელიც იყო ინგლისურ ენაზე თარგმნის პროცესში და მისი დასრულება იგეგმებოდა მანამ, სანამ პროგრამაზე ჩაირიცხებოდნენ სტუდენტები.

ექსპერტმა, მიტრა ამინიმ განაცხადა, რომ როგორც აღინიშნა, პროგრამა კარგად იყო სტრუქტურირებული, გათვალისწინებული იყო ინტეგრაციის მისაღები დონე ზოგად და კლინიკურ მეცნიერებებში. გაცემული რეკომენდაციების თანახმად აუცილებელი იყო ინგლისური ენის ცოდნის დონის ამაღლება, მთლიანი კურიკულუმის განთავსება ვებ გვერდზე როგორც ქართულ ისე ინგლისურ ენაზე, სემესტრულ და საბოლოო გამოცდებზე მინიმალური ზღვრების დაწესება და ა. შ.

ექსპერტმა, ჯილდა ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტი მიმდინარეობდა თანამშრომლობით გარემოში, ექსპერტებმა შეუფერხებლად მიიღეს ვიზიტის დროს მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაციის სრული ნუსხა და მან მადლობა გადაუხადა დაწესებულებას კოლეგიალური ურთიერთობისათვის.

ექსპერტმა, ხათუნა საგანელიძემ კვლევასთან დაკავშირებით დამატებით განაცხადა, რომ დაწესებულებას მიმდინარე ეტაპზე არ ჰქონდა განხორციელებული კვლევითი აქტივობები, რაც ცხადი იყო გამომდინარე იქედან რომ ინსტიტუცია არ იყო ავტორიზებული და არ ახორციელებდა საგანმანათლებლო საქმიანობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიან თი პოზიცია.

დაწესებულების რექტორმა, სოფიო ბერიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს ახლად დაფუძნებული დაწესებულების ხედვის და მისიის დადებითად შეფასებისათვის. მისი მოსაზრებით, თუ კი დაწესებულება გამართული იყო ხედვის და მისიის მიმართულებით, აღნიშნული მისცემდა მათ განვითარების საშუალებას და რეკომენდაციების სრულფასოვნად შესრულების შესაძლებლობას. ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ თამამად ესაუბრათ ძლიერ მხარეებზე და დეტალურად აღეწერათ სუსტი მხარეები და გამოწვევები, რაც ასახული იყო ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების გარკვეული რაოდენობა ვიზიტის დროს გახმოვანებული იყო როგორც რჩევები და მათთვის მოულოდნელი იყო მოგვიანებით აღნიშნული რჩევების რეკომენდაციის სახით ხილვა დასკვნაში.

დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა ოპერირება 1 წელი და 6 თვე. მისი მოსაზრებით დაწესებულება პასუხობდა პირველი ეტაპისათვის დაგეგმილ მიზნებსა და სტრატეგიულ ამოცანებს. მათი ამბიცია და წამოწყება ეფუძნებოდა ინფრასტრუქტურის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის აბსოლუტურ მზაობას. მისიასთან დაკავშირებით აღსანიშნავი იყო, რომ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით ფიქსირდებოდა განსხვავება სტრატეგიულ გეგმასა და ბიუჯეტის დოკუმენტს შორის. ეს შესაძლებელი იყო აღქმული ყოფილიყო როგორც ტექნიკური ხარვეზი, თუმცა ეს არ იყო ტექნიკური უზუსტობა, ვინაიდან გარკვეული აქტივობებისათვის ფინანსური მზაობა იწყებოდა კალენდარულად უფრო ადრე და სტრატეგიულ ამოცანებში წინსწრებით იყო გაწერილი, ხოლო თავად აქტივობა დგებოდა ერთი ან ორი წლის შემდგომ. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ ბიუჯეტში გარკვეული აქტივობები დაჯგუფებული იყო განსახვავებული შინაარსობრივი თანმიმდევრობით, ხოლო სტრატეგიულ გეგმაში აქტივობები ეხმიანებოდა ინსტიტუციის 8 სტრატეგიულ ამოცანას, შესაბამისად შესაძლებელი იყო ორ დოკუმენტს შორის არ ყოფილიყო სინქრონული თანხვედრა. მიუხედავად აღნიშნულისა, დაწესებულებას გათვალისწინებული ჰქონდა რეკომენდაცია და მიმდინარე ეტაპზე ბიუჯეტი სრულად იყო სინქრონიზებული სტრატეგიულ ამოცანებთან და დეტალიზებული იყო ყველა ქვეპუნქტი ბიუჯეტთან

მიმართებით. მაგალითისათვის, დაწესებულების პოზიციის თანახმად, ბიუჯეტში არ უნდა ყოფილიყო ასახული საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ადიქტოლოგიის და საექთნო საქმის მიმართულებები, როგორც კომერციული მიზნით დაწყებული აქტივობები, ვინაიდან თავად სასწავლო უნივერსიტეტი, კლინიკები და დამფუძნებლები შეძლებდნენ ამ მიმართულებების სუბსიდირებას იქედან გამომდინარე, რომ აღნიშნული მიმართულებების მკვეთრი დეფიციტი მნიშვნელოვან პრობლემას ქმნიდა სამედიცინო სივრცის ოპერირებაში.

დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ მათი პოზიციით ინსტიტუციას ჰქონდა ერთ-ერთი ძლიერი სტრუქტურა. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტამდე დაწესებულებაში წარმოდგენილი იყო 27 ადმინისტრაციული პერსონალი, რაც მიმდინარე ეტაპზე არ აფერხებდა დაწესებულების საქმიანობას. ამის დასტური იყო თავად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ვიზიტის დროს არ დაფიქსირებულა შეფერხება და მათი მუშაობა წარიმართა ეფექტურად. ინსტიტუციაში ადმინისტრაციული პერსონალი უკვე წარმოდგენილი იყო 33 პირით. სრულ განაკვეთზე გადაყვანილი იყო 25 პირი და თავად რექტორი სრულად იყო აფილირებული ინსტიტუციასთან. ყოველივე აღნიშნულის მიუხედავად, აფილირება სრულად ვერ განხორციელდებოდა ყველა აკადემიურ და მოწვეულ პირზე, იქედან გამომდინარე რომ, დაწესებულება ჯერჯერობით ვერ აიღებდა სრულ პასუხისმგებლობას მოეწოდებინა პერსონალისათვის შეეწყვიტათ თანამშრომლობა სხვა დაწესებულებებთან. თუმცა, მიმდინარე ეტაპზე სრულად გამჭვირვალე კონკურსის საფუძველზე მათი აკადემიური პერსონალი განსაზღვრული იყო 54 პირით, რომლიდანა 31 იყო აფილირებული. დაწესებულებას ჰყავდა 95 მოწვეული ლექტორი. რაც შეეხებოდა ტრენინგებს, ჩატარებული იყო 11 ტრენინგი, 1 ტრენინგი სრული დაფინანსებით ჩატარდა ქვეყნის საზღვრებს გარეთ. მიმდინარე თვეში დაგეგმილი იყო 2 ტრენინგის განხორციელება. დამადასტურებელი ინფორმაცია და ფოტომასალა განთავსებული იყო დაწესებულების ვებ-გვერდზე.

დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელების გარკვეულ ნაწილს მიმდინარე ეტაპზე უკვე დანიშნული ჰყავდათ თანაშემწეები, თუმცა არარეალური იქნებოდა ადმინისტრაციული ერთეულების სრულად დაკომპლექტება კადრებით მოცემულ ეტაპზე ვინაიდან, დაწესებულება ჯერ არ ფუნქციონირებდა. რაც შეეხებოდა პერსონალის კვალიფიკაციას, რომლის შესახებ აღნიშნული იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ რამოდენიმე რეკომენდაციაში, უმჯობესი იქნებოდა დაკონკრეტებული ყოფილიყო კვალიფიკაციის გაზომვადი ნიშნულები. მათ ექსპერტთა ჯგუფისათვის წარდგენილი ჰქონდათ შესაბამისი დოკუმენტები, როგორიც გახლდათ პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, პერსონალის განვითარების გეგმა, შეფასების გამოკითხვის შედეგები. პროცესი გახლდათ მიმდინარე და ეტაპობრივად დაწესებულებაში დაიხვეწებოდა კვალიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე აღნიშნულთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტაცია, მათ შორის იურიდიული დოკუმენტები, აქტივობები და ფოტომასალა წარმოდგენილი და ხელმისაწვდომი იყო დაწესებულების ვებ-გვერდზე.

დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ ბუნებრივი იყო დაწესებულების სახელით ჯერ ვერ იქნებოდა წარმოებული კვლევები, თუმცა მათ უკვე დაწყებული ჰქონდათ კვლევების დაფინანსება, საკმაოდ დიდი მასალა იყო წარმოდგენილი მედ-ცენტრში, რომელიც გახლდათ დაწესებულების საბაზისო კლინიკა. სასწავლო უნივერსიტეტში ინახებოდა დასავლეთ საქართველოს ჰისტო-მორფოლოგიური არქივი, რაც იყო საკმაოდ კარგი პლატფორმა სამომავლოდ სადოქტორო და ზოგადად კვლევითი პროფილის გაძლიერებისათვის. აღსანიშნავი იყო, რომ ავიცენას სახელით მათ ასისტენტ-პროფესორს უკვე ჰქონდა მიღებული მონაწილეობა მსოფლიო ინსულტის კონგრესზე. ასევე თირეოდოლოგიის საერთაშორისო კონგრესზე მათი ინსტიტუციის სახელით დაბეჭდილი იყო პოსტერი. აღინიშნა, რომ დაწესებულების ასისტენტ-პროფესორებს მიღებული ჰქონდათ მონაწილეობა მიღებული ქალაქ ჩენაიში ჩატარებულ ღვიძლის ტრანსპლანტაციის კონგრესზე.

დაწესებულების რექტორმა დამატებით ისაუბრა იმ განახლებებზე, რომლებიც განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდგომ. მისთვის გასაგები იყო, რომ შესაძლებელი იყო ავტორიზაციის საბჭოს არ შეეძლო აღნიშნული გარემოებების მხედველობაში მიღება, თუმცა აღნიშნული პირველ რიგში ემსახურებოდა მათ სამომავლო განვითარებას. აღინიშნა, რომ დებულებაში უკვე გათვალისწინებული იყო უცხო ენების ცენტრი, რომელიც იმ პედაგოგებისათვის რომელთაც წარმოდგენილი ჰქონდათ უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი და მიუხედავად ამისა იკვეთებოდა პრობლემა მათი ენის კომპეტენციის მხრივ უზრუნველყოფილი იქნებოდა სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული უფასო კურსები. ასევე ცენტრი აიღებდა ვალდებულებას და პასუხისმგებლობას სტუდენტთა განახლებული სტანდარტით მიღების პროცედურის გამართულად ჩატარებისათვის. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის დასრულების შემდგომ ინგლისური ენის ცოდნის B2 დონის თვლად კომპონენტს. აღნიშნული კომპონენტი ასახული იყო კურიკულუმის ერთ-ერთ სილაბუსში, რომელიც შეფასდებოდა ფილოლოგის მიერ.

დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ ვებ-გვერდზე განთავსებული იყო კურიკულუმი ქართულ და ინგლისურ ენაზე, შეცვლილი იყო პროგრამის შემუშავების წესი და მკაფიოდ იყო აღწერილი თუ როგორ მოიქცეოდა სტუდენტი პროგრამის გაუქმების შემთხვევაში. მოცემული დოკუმენტი ასევე განთავსებული იყო ვებ-გვერდზე. დამატებით აღინიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი მიუთითებდა დაწესებულებაში გამოხატული იყო მზაობა სტუდენტური სერვისების გამართული ფუნქციონირებისათვის. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით ამ აქტივობების პრეზენტირება ვერ მოხერხდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს ისევ და ისევ გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულებაში ჯერ არ ირიცხებოდნენ სტუდენტები. თუმცა, დაწესებულება დააკორექტირა დოკუმენტაცია, რომლებშიც მოიხსნა ყველა ზედმეტი ბარიერი. მაგალითისათვის, თვითმმართველობისათვის დადგენილი იყო ბარიერი 300 სტუდენტის რაოდენობით და ასეთი მოთხოვნა გაუქმდა. გამარტივებული იყო ომბუცმენის შერჩევის პროცედურა, დაკორექტირდა და ადაპტირდა სტუდენტის ხელშეკრულება. რაც შეეხებოდა ენობრივი კომპეტენციის დადასტურებას, ვებ - გვერდზე ატვირთული იყო საგამოცდო ტესტის ფორმატი და სტრუქტურა. ინგლისური ენის ცოდნის დონის დადასტურებას კურიკულუმში ახდენდა ერთ-ერთი საგანი.

დაწესებულების რექტორმა ბიუჯეტთან დაკავშირებით განცხადა, რომ ვიზიტის შემდგომ დოკუმენტში განხორციელდა რიგი ცვლილებები, გაიზარდა სოციალური მხარდაჭერის დაფინანსება, დაკონკრეტდა სტიპენდიის მოცულობა და დადგინდა კრიტერიუმები, გაიზარდა კვლევის ინტერნაციონალიზაციის დაფინანსება, გაფორმდა 11 საერთაშორისო მემორანდუმი და დაწყებული იყო კვლევითი პროექტები. ასევე ზოგადად გაზრდილი იყო ბიუჯეტი და სამომავლოდ საჭიროებებიდან გამომდინარე განხორციელდებოდა ბიუჯეტის კორექტირება. რაც შეეხებოდა ბიბლიოთეკას, ვიზიტის შემდგომ შეძენილი იყო 18 ათასი ლარის ღირებულების წიგნები, ბიბლიოთეკას ჰქონდა თავისუფალი წვდომა ელექტრონულ რესურსებზე, ბიბლიოთეკას ჰქონდა ელექტრონული ბიბლიოთეკის საკამოდ კარგი სამი სივრცე, რომელიც მოცემული ეტაპისათვის აკმაყოფილებდა სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, თუმცა საჭიროებებიდან გამომდინარე ეტაპობრივად დაიხვეწებოდა საბიბლიოთეკო რესურსებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ განაცხადა, რომ დარგობრივი მახასიათებელი ორ წელიწადში ერთხელ ითვალისწინებდა გადამზადებას სამედიცინო განათლებაში. ის დეტალურად იცნობდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას ტრენინგებთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა გეგმავდა თუ არა დაწესებულება საკუთარი ძალებით ტრენინგ პროგრამების შემუშავებას მეთოდოლოგიაში სამედიცინო განათლების მიმართულებით. აღსანიშნავი იყო, რომ ზოგიერთი ტრენინგი მოითხოვდა განხორციელებას ერთი ან ორი კვირის მანძილზე,

რომლის დროსაც მოწვეული პირების მოზიდვა შესაძლოა რთული ყოფილიყო. შესაბამისად კარგი იქნებოდა დაწესებულებას ჰქონოდა საკუთარი ტრენინგ ცენტრი. მას აინტერესებდა ხომ არ ჰქონდა დაწესებულებას უკვე მოაზრებული გარკვეული პროგრამები რომლის მიხედვითაც ჩატარდებოდა ტრენინგები. მას ასევე აინტერესებდა როგორ მოწმდებოდა აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის დონე და კლინიკურ სწავლების კუთხით სწავლების და შეფასების რომელი მეთოდები იყო გათვალისწინებული. არსებობდა მცდარი შთაბეჭდილება იმის შესახებ, რომ კლინიკური უნარები ფასდებოდა მხოლოდ ობიექტურად სტრუქტურირებული გამოცდის მეშვეობით, თუმცა ამ ტიპის გამოცდა არ მოიცავდა ყველა იმ მეთოდს რომელიც დამამთავრებელ ეტაპზე იყო მნიშვნელოვანი. მან ასევე ურჩია დაწესებულებას სამოქმედო გეგმაში გაეთვალისწინებინათ დარგობრივ მახასიათებელში მითითებული ვადები.

დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ გამოვლენილი იყო ტრენინგების საჭიროება და გაწერილი იყო დაფინანსება. გამოწვევას წარმოადგენდა კვალიფიციურ ტრენერთა დრო. დაწესებულება მუშაობდა აღნიშნული მიმართულებით და იყენებდა ყველა შესაძლო პირად და საკომუნიკაციო არხებს. მათ სურვილი ჰქონდათ უკვე დაგეგმილი ორი ტრენინგის თემატიკა ყოფილიყო ახალი დარგობრივი სტანდარტების იმპლემენტაციის გეგმა და სწავლების და შეფასების მეთოდები. რაც შეეხებოდა სტრატეგიულ გეგმაში დარგობრივ მახასიათებელში გაწერილი ვადების ინტეგრირებას, არსებული სტრატეგიული გეგმა შემუშავებული და დამტკიცებული იყო მრჩეველთა საბჭოს მიერ ჯერ კიდევ სასწავლო უნივერსიტეტის დაარსებამდე. მიუხედავად აღნიშნულისა დაწესებულებაში დაგეგმილი იყო მუშაობა სტრატეგიული გეგმის განახლებაზე.

დაწესებულების რექტორმა, ინგლისური ენის დონის შემოწმების კომპეტენციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აკადემიურ პერსონალს სერთიფიკატთან ერთად მოეთხოვებოდა გასაუბრების გავლა. სამწუხაროდ აღნიშნული მიდგომა მოცემულ ეტაპზე არ ხორციელდებოდა მოწვეული პერსონალისათვის, თუმცა სამომავლოდ ენების ცენტრის საშუალებით იგეგმებოდა აღნიშნული საკითხის გადაჭრა. რაც შეეხებოდა შეფასების მეთოდებს, მიმდინარე ეტაპზე მაქსიმალური კონცენტრაცია კეთდებოდა სიმულაციურ სწავლებაზე, თუმცა მინდობილი სწავლების ფონზე ასევე ჩაშენდებოდა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, რომელიც იქნებოდა ერთ-ერთი წამყვანი მეთოდი შეფასების სისტემაში.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლიოვამ აღნიშნა, რომ ექსპერტებს გაკეთებული ჰქონდათ კარგი ანალიზი და გაცემული იყო საინტერესო რეკომენდაციები. მან მიმართა ექსპერტებს, რეკომენდაციებიდან გამომდინარე ესაუბრათ იმ საკითხებზე, რომლის გათვალისწინება შესაძლებელი იყო ინსტიტუციის მიერ მიუხედავად იმისა ხორციელდებოდა თუ არა სწავლება და ჰყავდათ თუ არა სტუდენტები. ასევე მას აინტერესებდა რა პერიოდი დასჭირდებოდა დაწესებულებას ასეთი რეკომენდაციების შესასრულებლად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, პანტელის იპსილანდისმა მაგალითისათვის აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს განხორციელებული ერთ-ერთი ინტერვიუს დროს ექსპერტები ესაუბრნენ პირს რომელიც პასუხისმგებელი იყო სტუდენტურ სერვისებზე. მათ იკითხეს თუ რა აქტივობები იყო დაგეგმილი სტუდენტების ხელშეწყობის მიზნით. მათ არ ჰქონდათ საშუალება მოესმინათ სრულყოფილი პასუხი იმ სერვისების შესახებ, რომლებიც განხორციელდებოდა სტუდენტების მიღების შემდგომ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოსაზრებით სრულიად შესაძლებელი იყო წინასწარ ყოფილიყო დაგეგმილი ისეთი აქტივობები, როგორც იყო გაცნობითი ღონისძიებების უზრუნველყოფა, საერთაშორისო სტუდენტებისათვის საცხოვრებელი ფართის მოძიებაში დახმარება, მათი ინტეგრაციის ხელშეწყობა საუნივერსიტეტო სივრცეში და ა.შ. აღნიშნული აქტივობების დასაგეგმად არ იყო სავალდებულო დაწესებულება დალოდებოდა სტუდენტების ჩარიცხვას.

საბჭოს წევრმა, დავით ბოსტოღანაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, დაეკონკრეტებინათ საკმარისი იყო თუ არა არსებული მატერიალური რესურსი და ფართი დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტების რაოდენობისათვის.

ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ, პანტელის იპსილანდისმა აღნიშნა, რომ მოცემული დროისათვის არსებული ბიბლიოთეკა საკმარისი იყო, თუმცა სამომავლოდ საჭიროებდა გაფართოებას.
ექსპერტმა მიტრა ამინიმ განაცხადა, რომ არსებული კლინიკური სივრცე საკმარისი იყო, თუმცა როგორც აღინიშნა სამომავლოდ, მას შემდეგ რაც სასწავლო უნივერსიტეტში ჩაირიცხებოდნენ სტუდენტები, საჭირო იქნებოდა ბიბლიოთეკის და საუდიტორიო სივრცის გაფართოება.
საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭო ხელმძღვანელობდა ავტორიზაციის დებულებით და გადაწყვეტილებას იღებდა სტანდარტების და კომპონენტების შესაბამისობიდან გამომდინარე. მან მიმართა სტუდენტ ექსპერტს განემარტა სტუდენტური მხარდამჭერი სერვისების ნაწილობრივი შესაბამისობით შეფასება მაშინ როდესაც ჯერ არ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. ასევე შესაძლებელი იყო მას შემდეგ რაც დაწესებულება დაიწყებდა ფუნქციონირებას, ინსტიტუციაში დანერგილიყო და დახვეწილიყო მთელი რიგი აქტივობები. მას სურდა მოესმინა ექსპერტის პოზიცია მის მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.
ექსპერტმა შოთა სილაგაძემ განაცხადა, რომ გაცემული რეკომენდაციები ეფუძნებოდა ხედვას იმის შესახებ, რომ სწავლების პერიოდში მაქსიმალურად უნდა ყოფილიყო დაცული სტუდენტთა უფლებები. მისი მოსაზრებით, როგორც კი დაწესებულებაში ჩაირიცხებოდა სტუდენტი უკლებლივ უნდა დაწყებულიყო მისი უფლებების განხორციელება და მხარდაჭერა და ამისათვის აუცილებელი იყო დაწესებულების მზადყოფნა. გარკვეული ხარვეზები შეინიშნებოდა იმ უწყების პერსონალის კომპეტენციაში, რომელთაც უნდა უზრუნველეყოთ სტუდენტური სერვისები. აღნიშნულ პოზიციებზე შერჩეულნი უნდა ყოფილიყვნენ მაქსიმალურად კომპეტენტური პირები. რაც შეეხებოდა დოკუმენტაციას, ფიქსირდებოდა ხარვეზები, რომლებიც შეეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიც იყო სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები. დაწესებული იყო ბარიერი, რომლიც თუ ვერ დაკმაყოფილდებოდა თუნდაც ერთი სტუდენტით ხელს უშლიდა არჩევნების ჩატარება, თვითმმართველობის შექმნას და სტუდენტური ომბუცმენის არჩევას. ყოველივე აღნიშნული საზიანო იქნებოდა სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტური ცხოვრების განხორციელებისათვის. მისი მოსაზრებით, აღნიშნული მიმართულებები სასწავლო უნივერსიტეტის მიზნის და სამოქმედო გეგმის თანახმად იყო და უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება.
საბჭოს წევრმა, ივანე აბაშიძემ განაცხადა, რომ დასკვნა გახლდათ დეტალურად შედგენილი, რაც მიუთითებდა ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულებას შორის სრულყოფილ კომუნიკაციასა და თანამშრომლობაზე. იქედან გამომდინარე, რომ სასწავლო უნივერსიტეტი ჯერ არ ფუნქციონირებდა შესაძლებელი იყო ზოგიერთი რეკომენდაცია მოაზრებული ყოფილიყო როგორც რჩევა, ვინაიდან რეალობიდან გამომდინარე არ ჰქონოდა მნიშვნელოვანი წონა. ამავე დროს რეკომენდაციები დაწესებულება ატარებდა მნიშვნელოვან ინფორმაციას და იყო განმავითარებელი.
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა განაცხადა, რომ როგორც ცნობილი იყო კვლევები სხვადასხვა მიმართულებებით დაკავშირებული იყო ფინანსებთან. მედიცინის დარგში კვლევები დაკავშირებული იყო საკმაოდ დიდ თანხებთან. მას აინტერესებდა რამდენად საკმარისი იქნებოდა არსებული ბიუჯეტი კვლევებისათვის მედიცინის მიმართულებით. მან აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა თუ კი დაწესებულება აქცენტს გააკეთებდა ერთობლივ კვლევებზე, ან ისარგებლებდა საქართველოში ხელმისაწვდომი საერთაშორისო გრანტებით. ასეთი ინსტრუმენტების გამოყენებით შესაძლებელი იქნებოდა ბიუჯეტში გაწერილი 2% საკმარისი ყოფილიყო, თუმცა თუ დაწესებულება გეგმავდა კვლევების საკუთარი ძალებით დაფინანსებას, შესაძლოა თანხები არ ყოფილიყო საკმარისი. გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ სამომავლოდ სასწავლო უნივერსიტეტი გეგმავდა სადოქტორო პროგრამის განხორციელებასაც.

დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ ბიუჯეტი ითვალისწინებდა რეალისტურ თანხას. ძირითადად კვლევისათვის ბარიერს წარმოადგენდა ინფრასტრუქტურა, ბაზა, მონაცემთა სიმწირე და წვდომა დამუშავებულ მონაცემებზე. მათ იმედი ჰქონდათ, რომ რეგიონში წამყვანი ოთხი კლინიკა მოიცავდა ყველა სერვისს და წარმოდგენილი იყო ორი უმსხვილესი პირველადი ჯანდაცვის რგოლით. საერთაშორისო კვლევებისათვის გაფორმებული იყო მემორანდუმები. ერთ-ერთი პირველი მემორანდუმი გაფორმებული იყო მილანის უნივერსიტეტთან ტრანსპლანტაციის მიმართულებით თანამშრომლობის თაობაზე. რეგიონში ტრანსპლანტაცია საკმაოდ კარგად იყო განვითარებული, შესაბამისად აღნიშნული საქმიანობა და კვლევა შეავსებდა სხვაობას პრაქტიკულ მედიცინასა კვლევით ნაწილს შორის.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ჯემალ ანანიძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტში კვლევითი ნაწილი გამიჯნული იყო ორ ნაწილად და მოიცავდა თანხებს აკადემიური პერსონალისათვის და სტუდენტებისათვის. სტუდენტებისათვის განკუთვნილი ბიუჯეტი მოიცავდა 600 000 ლარს. გაორმაგებული იყო თანხა საერთაშორისო კვლევებისთვის და საგრანტო პროექტებისათვის. საბოლოო ჯამში კვლევითი ბიუჯეტი აღემატებოდა 3 მილიონ ლარს. მითითებული იყო 2%, თუმცა რაოდენობა ივსებოდა სხვადასხვა კომპონენტებით. დაწესებულების წარმატებული ფუნქციონირების შემთხვევაში განხორციელდებოდა აღნიშნული მიმართულებით ბიუჯეტის ზრდა.
ექსპერტმა, ნინო ამირანაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტთა შეფასება განხორციელდა იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულება ჯერ არ ფუნქციონირებდა. თუმცა, ვინაიდან მიდგომები იყო ერთნაირი მიუხედავად იმისა ავტორიზებული იყო თუ არა უნივერსიტეტი, ჯგუფი ვალდებული იყო ეპასუხა თითოეული სტანდარტის ყველა კომპონენტისათვის. რაც შეხებოდა იმას, თუ რა დრო დასჭირდებოდა ინსტიტუციას რეკომენდაციების შესასრულებლად, ინფორმაცია ამის თაობაზე აღწერილი იყო სტანდარტების მიხედვით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაკეთებულ ანალიზში.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 18:38 საათზე
საბჭოს სხდომა განახლდა: 19:15 საათზე

ავტორიზაციის საბჭოს მიერ შეფასება და კენჭისყრა:

საავტორიზაციო განაცხადის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე ავტორიზაციის მაძიებლის მიერ ცენტრისათვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები:

1. უსდ-მ უზრუნველყოს თანმიმდევრულობა სტრატეგიულ გეგმას, სამიზნე ინდიკატორებსა და სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტს შორის;
2. უსდ-მ სამოქმედო გეგმაში ჩართოს აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის დასაქმების დებულებები და ამოცანები;
3. უსდ-მ უზრუნველყოს ავიცენას სასწავლო უნივერსიტეტში რექტორის და ასევე, სასწავლო უნივერსიტეტის გაფართოებასთან ერთად, მენეჯმენტის სხვა ადმინისტრატორების სრული განაკვეთით დასაქმება;
4. ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელები გადამზადდნენ და დაეკისროთ საკუთარი ფუნქციების დაგეგმვის და ფუნქციონირების სრული პასუხისმგებლობა, სტუდენტების ჩარიცხვამდე. განსაკუთრებით, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის და კარიერული განვითარების და ფსიქოლოგიური დახმარებისა და ინტერპერსონალური კომუნიკაციის გაუმჯობესების სამსახურებში;

5. უსდ-მ უზრუნველყოს, რომ სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის დანიშვნის პროცესი ყოველთვის განხორციელდეს მის დებულებაში აღწერილი პროცედურების შესაბამისად, წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით;
6. გაიზარდოს დამხმარე ადმინისტრაციულ ერთეულებში დასაქმებული ინგლისურ ენაზე მოსაუბრე პერსონალის რაოდენობა, არსებული პერსონალისათვის ინგლისური ენის კურსების შეთავაზებით დ ინგლისური ენის შესაბამისი კომპეტენციის მქონე ახალი კადრების დაქირავებით;
7. სტუდენტების მიღებამდე სრულად დაინერგოს ელექტრონული მართვის სისტემა;
8. სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი უნდა ასახავდეს დაწესებულების მიზანს განავითაროს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ადიქტიოლოგიის, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის, და საექთნო საქმის მიმართულებით, ასევე, დაწესებულებაში სტუდენტების მოსალოდნელ რაოდენობას სტრატეგიული გეგმის მიხედვით;
9. უსდ-მ გამოსცეს სტუდენტებისა და პერსონალის ეთიკის კოდექსი ინგლისურ ენაზე, რადგან პროგრამა, რომლის შეთავაზებაც იგეგმება ინგლისურ ენაზეა;
10. დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი უტოლდება მაგისტრის აკადემიურ ხარისხს; ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, სანამ სტუდენტი დაასრულებს ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას ინგლისური ენის დონე უნდა გაუმჯობესდეს B2 დონემდე, რაც უნდა შეფასდეს;
11. დაწესებულებაში ინგლისური ენის გამოცდის ფორმატი უნდა შესწორდეს და უნდა შეიცავდეს ყველა უნარს და გამომცდელებს უნდა ჰქონდეთ კვალიფიკაცია ინგლისური ენის ტესტის ჩასატარებლად;
12. პროგრამა და სრული კურიკულუმი აიტვირთოს ვებგვერდზე ქართულ და ინგლისურ ენებზე, რათა იგი ადვილად ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული პირებისთვის;
13. აისახოს მინიმალური ბარიერები შუალედური და დასკვნითი გამოცდისთვის ყველა სილაბუსში;
14. დაინერგოს პერსონალის განვითარების ყოველწლიური პოლიტიკა;
15. უსდ-მ უზრუნველყოს, რომ პროგრამის პროვაიდერები აკმაყოფილებენ ენის კომპეტენციის მოთხოვნებს (დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით);
16. გადაიხედოს პროგრამის სასწავლო პერსონალის კვალიფიკაცია;
17. პერსონალის დაქირავების პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე, რათა შეირჩეს საუკეთესო კანდიდატები, სამუშაოს აღწერილობის მოთხოვნების შესაბამისად;
18. უსდ-მ უზრუნველყოს შესაბამისი ტრენინგი პროგრამის ყველა განმახორციელებლისთვის სამედიცინო განათლების თანამედროვე სწავლისა და სწავლების მეთოდებში, რათა ყველა იზიარებდეს სწავლებისა და სწავლის მიდგომების ერთსა და იმავე პრინციპებს;
19. რეკომენდებულია სტუდენტების რაოდენობის დადგენა ლაბორატორიულ სამუშაოებში დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით (მინიმუმ 5 - 6) და ICU კლასში (საავადმყოფოში) დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით (არაუმეტეს 6). ეს გავლენას მოახდენს პერსონალის დატვირთვაზე;
20. უსდ-მ წარმოადგინოს მკაფიო და ზუსტი ინფორმაცია და დოკუმენტები სტუდენტების საქმიანობის, უფლებებისა და მოვალეობების შესახებ როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაზე, ყველა საკომუნიკაციო საშუალებაში;
21. უსდ-მ უზრუნველყოს, რომ ადმინისტრაციულ პერსონალს სრულად ესმის ყველა ძირითადი პროცედურა სტუდენტების უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებული;
22. სტუდენტური თვითმმართველობის პირველი არჩევნების გამოცხადების ბარიერის გაუქმება;

23. ადმინისტრაციული პერსონალის კომპეტენცია და გამოცდილება სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისის მიმწოდებელ განყოფილებებში უნდა შეესაბამებოდეს სამუშაო მოთხოვნებს და პერსონალი უნდა გაიზარდოს და დამატებით გადამზადდეს;
24. პოტენციურ დამსაქმებლებთან ერთად მუშაობით შეიქმნას გეგმა, როგორ დაეხმაროს უსდ სტუდენტებს ნაყოფიერად გააერთიანონ სამუშაო და სწავლა და დააწესოს მექანიზმი დამსაქმებლების უკუკავშირის შესაგროვებლად, რაც ხელს შეუწყობს სწავლებისა და სწავლის პროცესის გაუმჯობესებას;
25. გაიზარდოს სოციალური მხარდაჭერის დაფინანსება (მათ შორის ფინანსური მხარდაჭერა), პირველ წელს და ასევე ეტაპობრივად, მომდევნო წლებში, რომ სტუდენტებისთვის მომსახურება თანაბარი და სრულად ხელმისაწვდომი იყოს; შემუშავდეს ობიექტური კრიტერიუმები და დაზუსტდეს ფინანსური მხარდაჭერისთვის სტუდენტების შერჩევის პროცედურა;
26. დადგინდეს სტიპენდიის პოლიტიკა, სტუდენტებისთვის ცნობილი, ობიექტური, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე და დაზუსტდეს მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების წახალისების სამოქმედო გეგმა;
27. გაუმჯობესდეს სტუდენტთა სპორტული/ კულტურული აქტივობების მხარდამჭერი მექანიზმები და საშუალებები;
28. გაძლიერდეს მცდელობები კვლევით საქმიანობაში ჩართვისა და ავიცენას სასწავლო უნივერსიტეტის სახელით შედეგების წარმოების მიზნით, რათა დაიწყოს კვლევის პროფილის შექმნა;
29. გაიზარდოს კვლევისა და ინტერნაციონალიზაციის საქმიანობის ბიუჯეტი, რათა აისახოს მისი ამბიციური გეგმები, გახდეს ლიდერი კვლევებში და გაზარდოს მიზნების მიღწევის შანსები;
30. უსდ-მ უზრუნველყოს, რომ ბიბლიოთეკის სივრცის გაფართოებას მიენიჭოს მაღალი პრიორიტეტი იმის გათვალისწინებით, რომ ბიბლიოთეკის მარაგის რაოდენობა პირდაპირ კავშირშია სტუდენტების რაოდენობასა და პროგრამებთან;
31. დროულად გაფართოვდეს ბიბლიოთეკის მარაგი, პირველი წლის მიღმა, მთელი პროგრამის სახელმძღვანელოების საჭიროებების დასაფარად;
32. დაინერგოს ელექტრონული მართვის სისტემა სტუდენტების პირველი ნაკადის მიღებამდე;
33. სრულად განვითარდეს სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი ქართულ და ინგლისურ ენაზე და შეიქმნას ისეთი სტრუქტურა, რომელიც საშუალებას მისცემს მომავალ სტუდენტებს, დაინტერესებულ პარტნიორებს და საზოგადოებას ადვილად მოიძიონ და მიიღონ ინფორმაცია;
34. დაიგეგმოს ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ტრენინგი LMS პლატფორმის სწავლებისა და სწავლის მოდულების გამოყენებაში;
35. გაიზარდოს ბიუჯეტი სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისებისთვის სტუდენტთა რაოდენობის ზრდასთან მიმართებაში;
36. გაიზარდოს საერთაშორისო კვლევით საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის ბიუჯეტი;
37. უსდ-მ უზრუნველყოს სახსრები ბიბლიოთეკის სივრცის გაფართოებისთვის, როგორც ეს შემოთავაზებულია წინარე რეკომენდაციებში.

საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევები:

1. მოხდეს ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაცია, „სამრეწველო მრჩეველთა კომიტეტის“ ორგანოს ფორმირება უსდ-ის მფლობელებთან და უმაღლესი ადმინისტრაციის ორგანოებთან;

2. გაძლიერდეს სტრატეგიული გეგმის სტრატეგიული ორიენტაცია ინდივიდუალური ამოცანების ინტეგრირებულ მიზნებზე დაჯგუფებით, სამოქმედო გეგმაში ამოცანის დეტალების შენარჩუნებით;
3. გადაიხედოს რექტორის აფილირება სასწავლო უნივერსიტეტისა და მისი პროგრამის მდგრადობისთვის;
4. უსდ-მ აწარმოოს პერსონალის დატვირთვის მონაცემთა ბაზა, სხვა უსდ-ში მათი სრული დატვირთვის გათვალისწინებით, როცა პერსონალს მიენიჭება დატვირთვა ავიცენაში;
5. უსდ-მ დაიწყოს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში PDCA ციკლის სრული განხორციელება, რადგან სასწავლო უნივერსიტეტი იწყებს მუშაობას;
6. პროგრამაში საჭიროა დამატებითი ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები, ასე სტუდენტები სწრაფად აითვისებენ B2 დონეს;
7. დაიგეგმოს ინტეგრაციის უფრო მაღალი დონე (ინტეგრაციის კიბეზე დაფუძნებული) და სრულად ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე გადასვლა საბაზო და კლინიკურ მეცნიერებებს შორის;
8. მოწვეულ პედაგოგებს უნდა ჩაუტარდეთ მასწავლებლების გადამზადების ფორმალური ტრენინგი შეფასების სფეროში;
9. სასწავლო უნივერსიტეტს ვურჩევთ, რომ დასკვნითი და შუალედური შეფასებების გასაჩივრებისთვის ჰქონდეს უფრო გამჭვირვალე მექანიზმი; უფრო დეტალური ინსტრუქცია უფრო მეტ ინფორმაციას მიაწვდიდა სტუდენტებს მათი უფლებების შესახებ;
10. სასურველია ყველა დაქირავებული პირის (თანამშრომლის) პოზიციის ჩვენება შესაბამის CV- ში;
11. სასურველია გაიზარდოს ძირითადი ადმინისტრაციული სამსახურების ხელმძღვანელების სრულ განაკვეთზე დასაქმება;
12. სასწავლო უნივერსიტეტმა რეგლამენტით უნდა განსაზღვროს გარე მობილობისთვის ყველა საჭირო დოკუმენტაციის მიწოდების ვადა, თუ მოხდება პროგრამის შეწყვეტა;
13. იურიდიული და სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურების ხელშეკრულებები უნდა მოიცავდეს კონსულტაციის, მხარდაჭერისა და პროაქტიული უკუკავშირის ვალდებულებებს სტუდენტური ომბუდსმენის მიმართ;
14. სასურველია შეიქმნას სამართლებრივი საფუძველი ავიცენას სტუდენტური ომბუდსმენის წესდებაში, რათა გაფართოვდეს სტრუქტურა მომდევნო წლებში სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის შესაბამისად;
15. უსდ-მ უზრუნველყოს, რომ ავიცენას სტუდენტური ომბუდსმენის მხარდაჭერის დონე შეესაბამება სტუდენტთა რაოდენობის ზრდას მომდევნო წლებში;
16. სტუდენტურ კონტრაქტში განისაზღვროს, რა პერიოდით ადრე იქნება სტუდენტი ინფორმირებული მომავალი ცვლილებების შესახებ და შეძლებს თუ არა ის ან მის წარმომადგენელი მონაწილეობა მიიღოს ცვლილებების შემუშავებაში;
17. სასურველია უსდ-მ გადაწყვიტოს ქალაქიდან სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტების ტრანსპორტირების საკითხი და მოელაპარაკოს მერიას სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაზრდილი მოთხოვნის შესახებ, უსდ მოემზადოს პრობლემის გადასაჭრელად საკუთარი ძალებით ან ოფიციალურ სამსახურებთან ერთად;
18. უმჯობესია სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა სწავლის საფასური გადაიხადონ ნაწილ-ნაწილ;
19. განისაზღვროს როგორ უნდა ადევნოს თვალი უსდ-მ კურსდამთავრებულთა მოსწრებას მათი მშობლიური ქვეყნების სალიცენზიო გამოცდებში, სტუდენტების საგანმანათლებლო და კარიერის დაგეგმვის პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისთვის;
20. გაუმჯობესდეს სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო პროფილი; დაიწყოს არსებული მემორანდუმის ფარგლებში საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელება და ევროკავშირის სხვა პარტნიორებთან საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება;

21. შეფასების სქემის კრიტერიუმებში უნდა მიეთითოს, რომ აქტივობა უნდა განხორციელდეს ავიცენას სასწავლო უნივერსიტეტის სახელით;
22. სასურველია გაიზარდოს მაღალი გავლენის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნების წონა;
23. სასურველია საავადმყოფოებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გადახედვა დარგობრივი კრიტერიუმების მიხედვით;
24. რადგან სტუდენტებისა და პროგრამების რაოდენობა სამომავლოდ შესაძლოა გაიზარდოს , ბიბლიოთეკის როლი გახდება პროაქტიული, რაც მოითხოვს სტუდენტებისთვის ბიბლიოთეკის სერვისების გამოყენების ინსტრუქციას;
25. დასრულდეს ადამიანური რესურსების სამსახურში ფიზიკური ფორმით დაცული პერსონალური მონაცემების კონვერტაცია ციფრულ ფორმაში;
26. კვლევისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი უნდა იყოს დაკავშირებული სასწავლო უნივერსიტეტის პრიორიტეტებთან სამეცნიერო კვლევების დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტისათვის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1080-ით განსაზღვრის და ასევე საკითხი 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 28
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^1 მუხლის მე-3 პუნქტის, 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტს (ს/კ: 445655700) მიენიჭოს ავტორიზაცია (სასწავლო უნივერსიტეტი) 6 წლის ვადით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1080-ით. დაწესებულებამ უზრუნველყოს დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე 1 წლის ვადაში ცენტრში ანგარიშის წარდგენა.

საბჭოს წევრმა კონსტანტინე სირბილაძემ დატოვა სხდომა.

2. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება.

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტმა, დიანა მჭედლიშვილმა, განცხადა რომ, 2023 წლის 31 მაისს და 1 ივნისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში. შეფასება ეხებოდა წინა მონიტორინგის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულებას. ჯგუფის მიერ შეფასებული იქნა პრაქტიკულად ყველა სტანდარტი, გარდა მე-5 სტანდარტისა, გამომდინარე იქედან, რომ მე-5 სტანდარტთან მიმართებით არ იყო გაცემული რეკომენდაციები. წინა შეფასების ფარგლებში გაცემული 18 რეკომენდაციიდან სრულად იყო შესრულებული 11 რეკომენდაცია, მეტწილად იყო შესრულებული 3 რეკომენდაცია, რაც გულისხმობდა იმას, რომ აღნიშნული რეკომენდაციების შესასრულებლად დაწესებულების მხრიდან განხორციელებული იყო გარკვეული აქტივობები. ნაწილობრივ იყო შესრულებული 2 რეკომენდაცია, ხოლო 2 რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა მესამე სტანდარტს არ იყო შესრულებული. შეფასების პროცესში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განისაზღვრა 8 რეკომენდაცია და 3 რჩევა. ნაწილობრივ იყო შეფასებული რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა დაწესებულების მიერ ორგანიზაციულ კონფერენციებში უცხოელი პარტნიორების როლის გაზრდას. ამ მიმართულებით დაწესებულების მხრიდან გადადგმული იყო გარკვეული ნაბიჯები, თუმცა კონფერენციები და სამეცნიერო აქტივობები მაინც ატარებდა ლოკალურ ხასიათს და ნაკლებად ფიქსირდებოდა უცხოელი პარტნიორების ჩართულობა და მაღალი რეპუტაციის მქონე საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებები. რამოდენიმე პერსონალთან დაკავშირებით მკვეთრად იყო გაუმჯობესებული სიტუაცია, თუმცა ექსპერტების მოსაზრებით საჭირო იყო უფრო მეტი აკადემიური პერსონალი ყოფილიყო ჩართული საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში. შემდეგი ნაწილობრივად შეფასებული რეკომენდაცია ეხებოდა სტრატეგიულ გეგმაში ამოცანების და ქვეამოცანების გაზომვადობას. ასევე გაწერილი უნდა ყოფილიყო მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილ ხარვეზებზე რეაგირების სამოქმედო გეგმა პასუხისმგებელი პირების მითითებით. აღნიშნული რეკომენდაციის პირველი ნაწილი შესაძლებელი იყო მიჩნეული ყოფილიყო შესრულებულად, თუმცა რეაგირებაზე სამოქმედო გეგმაში არ იყო განხორციელებული ცვლილებები და არ იყო მითითებული პასუხისმგებელი პირები. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნულის თაობაზე ვიზიტის

დროს გამოითხოვეს დოკუმენტაცია მაგრამ დაწესებულების მიერ აღნიშნული ინფორმაცია არ იყო მოწოდებული. ამავდროულად აღსანიშნავი იყო ის გარემოებაც, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო დეტალური გეგმა რეკომენდაციების შესრულების ნაწილში. შესაბამისად, შესაძლებელი იყო ადგილი ჰქონდა ერთგვარ გაუგებრობას, ვინაიდან რეკომენდაციის შესრულებაზე დაწესებულებას ჰქონდა ნამუშევარი თუმცა უყურადღებოდ იყო დარჩენილი მეორე ნაწილი.

ექსპერტმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა რომ, მესამე სტანდარტთან გაცემულ რეკომენდაციებთან მიმართებით ექსპერტებს მოყვანილი ჰქონდათ მიზეზები თუ რატომ არ ჩაითვალა აღნიშნული რეკომენდაციები შესრულებულად. გარკვეული ნაბიჯები იყო გადადგმული ინსტიტუციის მხრიდან, თუმცა განხორციელებული აქტივობები არ ეხებოდა რეკომენდაციებში მითითებულ გარემოებებს. მეექვსე სტანდარტთან გაცემული რეკომენდაცია შესრულებული იყო მეტწილად. მეშვიდე სტანდარდთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია, რომელიც ასევე შესრულებული იყო მეტწილად ეხებოდა დოკუმენტაციის ბრუნვის ელექტრონული სისტემის დანერგვას. დაწესებულებას არჩევანი ჰქონდა გაკეთებული “Eflow”-ზე, თუმცა პრაქტიკაში სისტემა ვერ დაინერგა. დაწესებულების განმარტებით აღნიშნულმა სისტემამ ვერ გაამართლა და მიმდინარე ეტაპზე ცდილობდნენ სხვა ელექტრონული სისტემის დანერგვას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ საბოლოო ჯამში შეფასებული იყო ექვსი სტანდარტი, გარდა მესამე სტანდარტისა, რომელიც ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამებს ყველა სტანდარტი იყო შესაბამისობაში მოთხოვნებთან. მესამე სტანდარტი შეფასებული იყო როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

ექსპერტმა, ჯილდა ჭეიშვილმა, მესამე სტანდარტთან მიმართებით აღნიშნა, რომ რეკომენდაციების უმრავლესობა შესრულებული იყო. არ იყო გათვალისწინებული მხოლოდ ორი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების მეთოდებში პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გადამზადებას. გადამზადება უნდა ყოფილიყო ჩატარებული პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაში (PBL). ინსტიტუციის განმარტებით, გადამზადებები განხორციელებულია ობიექტურად სტრუქტურირებულ მეთოდებში, ხოლო პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაში გადამზადება იგეგმებოდა სამომავლოდ. ასევე შემდეგი რეკომენდაცია, რომელიც არ იყო გათვალისწინებული, ეხებოდა სტომატოლოგიის პროგრამასთან მიმართებით შეფასების მეთოდებს. სილაბუსებში აღწერილი იყო სამუშაო გარემოზე დაფუძნებული შეფასება, მინი კლინიკური გამოკვლევა, პირდაპირი დაკვირვება და ა.შ. თუმცა ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ გადამზადება აღნიშნული მიმართულებებით იგეგმებოდა სამომავლოდ. ასეთი გარემოება იწვევდა ცდომილებას, ვინაიდან პროგრამა გახლდათ მიმდინარე და სილაბუსებში გაწერილი იყო მეთოდები, რომლებშიც არ იყო გადამზადებული პერსონალი. მესამე სტანდარტზე ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან ვიზიტის შემდგომ დამატებული იყო რამოდენიმე რეკომენდაცია. კერძოდ, პროგრამის მოდიფიცირების პროცესში პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად სტუდენტების და კურსდამთავრებულების ჩართვას. ინტერვიუს დროს წარმოდგენილი სტუდენტებიდან დ კურსდამთავრებულებიდან ვერ დადასტურდა მათი ჩართულობა პროგრამის მოდიფიცირების პროცესში. რეკომენდირებული იყო პრაქტიკულ მეცადინეობებზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გაწერა. ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებზე, იმყოფებოდნენ ორ კლინიკაში, კლინიკის წარმომადგენლებისაგან აღინიშნა, რომ მათ ჰქონდათ გაფორმებული მემორანდუმები სხვა უნივერსიტეტებთანაც. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ კლინიკებში იყო მცირე ზომის ოთახები, ლექტორების განცხადებით პრაქტიკულ მეცადინეობებზე ძირითადად იგზავნებოდა 5 ან 6 სტუდენტი, ხოლო სტუდენტების უკუკავშირის თანახმად მთელი ჯგუფი ესწრებოდა პრაქტიკულ მეცადინეობას, რომელიც შედგებოდა 17 სტუდენტისაგან. ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოიძია დოკუმენტი სადაც კონკრეტულად იქნებოდა გაწერილი სტუდენტების რაოდენობა. რეკომენდირებული იყო

პაციენტის უსაფრთხოების საკითხების გაწერა პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებში. ლექტორების და სტუდენტების მიერ აღინიშნა, რომ მათ მიერ ხდებოდა პაციენტების მიყვანა კლინიკაში და მათზე ხორციელდებოდა გარკვეული პროცედურების ჩატარება. ვიზიტის დროს დაწესებულებამ ვერ წარმოდგინა დოკუმენტაცია, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა პაციენტის თანხმობის ფორმა, პაციენტზე პასუხისმგებელი პირი და ა.შ. ვიზიტის დროს დასმული იყო კითხვა თუ როგორ ხდებოდა პედიატრიული პაციენტის მიყვანა, თუ არ ხდებოდა ასეთი პაციენტის მიყვანა, მაშინ როგორ გადიოდა შედეგზე შესაბამისი სასწავლო კურსი. აღსანიშნავი იყო, რომ სასწავლო უნივერსიტეტს ჰქონდა კარგად მოწყობილი სიმულაციური ცენტრი, რელევანტური იყო სადგურების რაოდენობა, თუმცა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის წესი მოითხოვდა გამოცდის ვიდეოჩანაწერის უზრუნველყოფას. დაწესებულებას არ ჰქონდა ვიდეოჩანაწერის უზრუნველყოფის აღჭურვილობა და ასევე ვერ დაადასტურეს, თუ როგორ ხორციელდებოდა გამოცდა. შესაბამისად აღნიშნულის თაობაზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იქნა რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნათია ქაჯაიამ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ფორმულირებული ახალი რეკომენდაციების ნაწილი მოცემული ეტაპისთვის უკვე შესრულებული იყო, ხოლო ნაწილის განხორციელება დაგეგმილი იყო ახალი სასწავლო წლიდან. სასწავლო უნივერსიტეტის მეოთხე სართულზე მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, ფართოვდებოდა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის საგამოცდო ცენტრები, დამატებული იყო სადგურები რომლებიც აღჭურვილი იყო ვიდეოჩამწერი მოწყობილობებით. სასწავლო უნივერსიტეტი მისი საქმიანობის წარმატებით განხორციელების მიზნით მოწოდებული იყო გაეთვალისწინებინა ყველა რეკომენდაცია, რომელსაც იღებდა ექსპერტთა ჯგუფისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, ელენე ჟურავლიოვა დაინტერესდა ჰქონდა თუ არა სასწავლო უნივერსიტეტს შიდა ელექტრონული მართვის სისტემა, რომლითაც გადამოწმდებოდა სტუდენტების რაოდენობა პრაქტიკის ობიექტებზე. ასევე მას აინტერესებდა რა იგულისხმებოდა პრაქტიკის ობიექტზე პაციენტის მიყვანაში და ევალებოდა თუ არა აღნიშნული სტუდენტს. რაც შეეხებოდა კვლევის სტანდარტთან მიმართებით დასკვნაში ფორმულირებული იყო, რომ გაზრდილი იყო კონფერენციებში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა, თუმცა კიდევ საჭირო იყო სტუდენტების რაოდენობის გზარდა. მას სურდა მოესმინა განმარტება აღნიშნულთან დაკავშირებით. კერძოდ, რამდენად კრიტიკული იყო სტუდენტების რაოდენობა მიმდინარე ეტაპზე, რამდენად საჭიროებდა ზრდას და მხოლოდ მათი ჩართულობა იყო შეფასებული, თუ კიდევ სხვა კომპონენტები.
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ განაცხადა, რომ სტომატოლოგიაში დარგობრივი სტანდარტი იყო შემუშავების პროცესში და ჯერ არ იყო დამტკიცებული. მედიცინის მიმართულების არცერთ პროგრამაში არ იყო განსაზღვრული, რომ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება იყო სავალდებულო. ვინაიდან სტომატოლოგიის პროგრამა ატარებდა უფრო მეტად პრაქტიკულ ხასიათს მისთვის გაუგებარი იყო რა საჭირო იყო რეკომენდაციის ჩამოყალიბება ამ საკითხთან მიმართებით. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება იყო ძველი მეთოდი, ამიტომ იმის გახმოვანება, რომ ეს მეთოდი იყო ინოვაცია არ იყო სწორი. აღნიშნული მოსაზრება ასევე ეხებოდა რეკომენდაციაში აღნიშნულ სხვა მეთოდებსაც. შესაბამისად, მას სურდა მოესმინა ექსპერტების განმარტება რამდენად მართებული იყო აღნიშნული რეკომენდაციის გაწერა.

ექსპერტმა, ჯილდა ჭეიშვილმა განაცხადა, რომ რეკომენდაცია შემუშავებული იყო იქედან გამომდინარე, რომ აღნიშნული მეთოდები მითითებული იყო სილაბუსებში. მისი მოსაზრებით მას არ ჰქონდა უფლება მიეთითებინა თუ რომელი სწავლების და შეფასების მეთოდი უნდა გამოეყენებინა დაწესებულებას. მას არ შეეძლო ეპასუხა თუ რატომ ჩაიწერა აღნიშნული მეთოდები პროგრამაში და როგორ გეგმავდა სწავლების განხორციელებას პროგრამის ხელმძღვანელი. მათ მიერ გაცემული რეკომენდაცია ეხებოდა მხოლოდ იმას, რომ მითითებული მეთოდები გამოყენებული და განხორციელებული ყოფილიყო სწორად. რაც შეეხებოდა პაციენტის მიყვანას, როგორც ექსპერტებს აუხსნეს სტომატოლოგიის დარგში მიღებული იყო პაციენტის მიყვანა და მინიმალური არაინვაზიური პროცედურების ჩატარება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტებს გაუჩნდათ კითხვები ასეთი პაციენტების უფლებებთან დაკავშირებით. რაც შეეხებოდა სტუდენტების რაოდენობას პრაქტიკის ობიექტებზე, აღნიშნული რაოდენობები გადამოწმდა სტუდენტებთან და ლექტორებთან. ვინაიდან საკითხი ეხებოდა პრაქტიკულ კომპონენტს, სხვა სახის ჩარევა გადამოწმების თვალსაზრისით ექსპერტებს არ განუხორციელებიათ.
ექსპერტმა, ზაზა ცოტნიაშვილმა კვლევასთან დაკავშირებულ კითხვაზე განაცხადა, რომ ექსპერტები დააკვირდნენ პროცესებს, ესაუბრნენ აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს და პასუხისმგებელ პირებს, რომლებიც აქტიურობდნენ კვლევის მიმართულებით. დაწესებულება იყო მოტივირებული, კვლევის მიმართულებით გადადგმული იყო გარკვეული ნაბიჯები, გამოცემული იყო შრომათა კრებული. შესაძლებელი იყო იმის აღნიშვნა, რომ მიმდინარე ეტაპზე კვლევის მიმართულებით იყო ნორმალური ვითარება.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება: 19:50 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა: 20:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულებასთანდაკავშირებით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად, შეწყდეს შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის" ს ამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავ ლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არ აგეგმიური მონიტორინგის შედეგების საკითხის განხილვა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება.

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადეს საბჭოს წევრებმა ნინო იმნაძემ და ელიზბარ ელიზბარაშვილმა. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პროგრამის მონაცემები:

სახელწოდება – ,,ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია"
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით - 0711 ქიმიური ინჟინერია და პროცესები;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია – „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის მაგისტრი“

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტმა, ციცინო თურქაძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს მონიტორინგის ფარგლებში ევალებოდა მესამე, მეოთხე და მეშვიდე სტანდარტების შეფასება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან. კომპონენტი, რომელიც ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამას, სტრუქტურას და შინაარსს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული იყო როგორც ნაწილობრივ შესაბამისი მოთხოვნებთან. მეოთხე და მეშვიდე სტანდარტები შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან, მხოლოდ მეშვიდე სტანდარტის ის კომპონენტი, რომელიც ეხებოდა საბიბლიოთეკო რესურსებს, შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. ექსპერტმა განმარტა თუ რამ გამოიწვია პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის შეფასება ნაწილობრივი შესაბამისობით. აღინიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი საქმიანობის ფარგლებში ხელმძღვანელობდა შესაბამისი რეგულაციებით. სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის პროგრამებში შესაძლებელი იყო გათვალისწინებული ყოფილიყო კონცენტრაციები. სამაგისტრო საფეხურზე კონცენტრაცია არ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი საერთო კრედიტების რაოდენობის არანაკლებ 50 პროცენტისა. კონცენტრაცია მოიცავდა ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების, საგნების, მოდულების

დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე ფოკუსირებით. მოცემულ პროგრამაში წარმოდგენილი კონცენტრაცია მოიცავდა 30 კრედიტს სასწავლო კურსებისათვის და 30% სამაგისტრო ნაშრომისათვის. აღნიშნული კონფიგურაციით იყო შედგენილი პროგრამის 50 პროცენტი. ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ სამაგისტრო ნაშრომი არ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული კონცენტრაციაში არსებული ჩანაწერის შესაბამისად. ექსპერტების მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია პროგრამის სტრუქტურის შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე არსებულ საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ექსპერტმა საბჭოს წინაშე გაახმოვანა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაში მოვიდეს „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ მუხლი 6, პუნქტი 7-ის მოთხოვნებთან, რომლის მიხედვით, კონცენტრაცია წარმოადგენს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების/მოდულების დაჯგუფებას (კვლევითი კომპონენტის გარეშე) და კონცენტრაციის მოცულობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 60 კრედიტს (პროგრამის საერთო მოცულობის 120 კრ-ის შემთხვევაში);
2. რეკომენდებულია პროგრამის შინაარსი გაძლიერდეს და სავალდებულო კურსებში წარმოდგეს შრომის უსაფრთხოების სასწავლო კურსი ან შესაბამისი მოცულობის საკითხები;
3. რეკომენდებულია პროგრამაში გაძლიერდეს სამეცნიერო წერისა და კვლევის მეთოდოლოგიის შესწავლა;
4. უზრუნველყოფილ იქნას სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის ხელმისაწვდომობა და მათი განთავსება სტუ-ს ბიბლიოთეკაში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის შემდგომ დაწესებულების მიერ გარკვეული საკითხები გათვალისწინებულ იქნა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი ხელმძღვანელობდა იმ მონაცემებით, რაც წარმოდგენილი იყო ვიზიტის დროს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი ოთხი რეკომენდაციიდან უნივერსიტეტი იზიარებდა სამ რეკომენდაციას. რაც შეეხებოდა პირველ რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა კონცენტრაციებს და მათ მოცულობას, აღსანიშნავი იყო, რომ ტექნიკურმა უნივერსიტეტმა ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა შესაძლებლობა პროგრამაში კონცენტრაციის გამოყენების. მათ არაერთ პროგრამაში იყო გამოყენებული კონცენტრაციის სტრუქტურული კომპონენტი. მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამაში მათ ჰქონდათ გათვალისწინებული ერთ მიმართულებაზე კონცენტრირებით ფოკუსირებული სასწავლო კურსების ერთობლიობა 30 კრედიტის ფარგლებში და იმავე მიმართულებით კვლევითი კომპონენტის შესრულების ვალდებულება. აღნიშნული მიდგომა თანხვედრაში იყო კანონმდებლობასთან და ბოლო სამი წლის განმავლობაში დამკვიდრებულ პრაქტიკასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულება ფიქრობდა რომ ვერ გაიზიარებდა ექსპერტების მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა განაცხადა, რომ კლასიფიკატორის ჩანაწერი სამაგისტრო დონისათვის განსაზღვრავდა ლოგიკურ მიმართულებას. მაგისტრატურის დონეზე კონცენტრაციას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა კვალიფიკაციასთან მიმართებით. პირველი სემესტრის განმავლობაში წარმოდგენილი იყო ზოგადი სასწავლო კურსები, ხოლო მეორე სემესტრიდან მაგისტრანტი ირჩევდა კონკრეტულ კონცენტრაციის მიმართულებას, ითვისებდა

მთლიანი პროგრამის შემადგენელი კრედიტების 50 პროცენტს და აკეთებდა შესაბამის სამაგისტრო ნაშრომს მიღებული ცოდნიდან გამომდინარე. გამომდინარე იქედან, რომ პროგრამა და მისი სტრუქტურა გამართული იყო, მას აინტერესებდა რამდენად რთული იქნებოდა სტრუქტურულად პროგრამის ისე გადალაგება, რომ სასწავლო კურსების შემადგენლობით კონკრეტული 8 მიმართულებისათვის პროგრამაში გაჩენილიყო 30 კრედიტი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ განაცხადა, რომ მათ აკრედიტაციის საბჭოზე არაერთხელ უმსჯელიათ პროგრამების განვითარებასთან დაკავშირებით. ის რაც აღნიშნა საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა, წარმოდგენილი პროგრამის და ასევე მსგავსი პროგრამებისათვის იქნებოდა შეუსრულებელი მისია. რეალურად, კანონმდებლობა მოითხოვდა, რომ უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის პროგრამაში არანაკლებ პროგრამის საერთო კრედიტების 50 პროცენტი უნდა ყოფილიყო კონცენტრაციით ათვისებული. ჩანაწერში არ იყო დაკონკრეტებული აღნიშნული გულისხმობდა სასწავლო კომპონენტს თუ კვლევით კომპონენტს. კონცენტრაცია გულისხმობდა კონკრეტულ თემაზე ფოკუსირებით კურსების გაერთიანებას და აღნიშნული არ გამორიცხავდა კვლევით კომპონენტს.
ექსპერტმა, ციცინო თურქაძემ განაცხადა, რომ მას კარგად ესმოდა რას გულისხმობდა დაწესებულების წარმომადგენელი, როდესაც მიუთითებდა იმაზე, რომ კანონმდებლობაში არ იყო ჩანაწერი იმის შესახებ, რომ კვლევითი კომპონენტი არ შეიძლებოდა გათვალისწინებული ყოფილიყო კონცენტრაციაში. მან კიდევ ერთხელ გაახმოვანა საკანონმდებლო ჩანაწერი, რომლის მიხედვით კონცენტრაცია გულისხმობდა ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების/მოდულების დაჯგუფებას. მისი მოსაზრებით აღნიშნული სიტუაციიდან გამოსავალს წარმოადგენდა თავად კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციების დახვეწა და მოქნილობა, ვინიდან კონცენტრაციებთან დაკავშირებით საკმაოდ ხშირად იქმნებოდა პრობლემები. უმჯობესი იქნებოდა კონცენტრაციის ჩანაცვლება მოდულით, რას არ შეცვლიდა პროგრამის შინაარსს, გაწერილი იქნებოდა სწავლის შედეგები და გამოირიცხებოდა საკანონმდებლო ჩანაწერიდან წარმოქმნილი გაურკვევლობები.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ სამაგისტრო პროგრამა უფრო მეტად ორიენტირებული იყო კვლევაზე, მას სურდა მოესმინა ექსპერტების პოზიცია, რატომ მოითხოვდნენ რეკომენდაციის სახით პროგრამაში შრომის უსაფრთხოების საკითხების დამატებას. ასევე მას აინტერესებდა უნივერსიტეტის პოზიცია რეკომენდაციის გათვალისწინების პირობებში, რომელი საგნის ხარჯზე აპირებდა უსაფრთხოების სასწავლო კურსის დამატებას.
ექსპერტმა, ციცინო თურქაძემ განაცხადა, რომ სამაგისტრო საფეხურზე უფრო მეტად მნიშვნელოვანი იყო შრომის უსაფრთხოების კომპონენტი. არსებული სამრეწველო მიმართებები, ტექნოლოგია, ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია შრომის უსაფრთხოების კომპეტენციის კუთხით აყენებდა მოთხოვნას ინჟინერისადმი. პროგრამაში იყო უამრავი სასწავლო კურსი, სადაც შესაძლებელი იყო ინკორპორირებული ყოფილიყო შრომის უსაფრთხოების საკითხები და მისი მოსაზრებით აღნიშნულის გათვალისწინება დაწესებულების მხრიდან არ წარმოადგენდა პრობლემას.
საბჭოს წევრმა, დავით ბოსტოღანაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და დაინტერესდა, თუკი კონცენტრაციას დაერქმეოდა მოდული, ექნებოდა თუ არა ამას დაწესებულებისთვის რაიმე პრინციპული მნიშვნელობა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ განაცხადა, რომ კონცენტრაცია არსებულ კანონმდებლობაში გაცილებით კარგად იყო რეგულირებული. ტექნიკურადაც კონცენტრაციის მოდულის სახით ჩანაცვლება არ წარმოადგენდა პრობლემას, ბევრი უნივერსიტეტი იყენებდა მოდულების მოდელს, თუმცა ტექნიკურ უნივერსიტეტში პროგრამები აგებული იყო კონცენტრაციების სტრუქტურით.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება: 20:20 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა: 20:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნითდაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 20:40 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გვენეტაძე გაგა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა